



## საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 022/16 მიმოხილვა<sup>1</sup>

### ფაქტები:

ადოკატმა ოჯახის წევრთან, მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე აიღო ვალდებულება კლიენტისათვის იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მონახულა კლიენტი, და შემდგომ გამოწერა ორდერი კლიენტის დასაცავად. ორდერის თანახმად ადოკატი კლიენტს დაიცავდა გამოძიებისას ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. კლიენტის საქმეზე გამოძიება დაიწყო პოლიციის მუშაკებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. ადოკატის საქმეში ჩართვამდე კლიენტს ადოკატი არ ჰყოლია. ადოკატის საქმეში ჩართვამდე დაიკითხა კლიენტი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან კლიენტმა მიიღო განჩინება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. ადოკატისა და კლიენტის პოზიციებს შორის წინააღმდეგობა შეიქმნა ჯერ კიდევ წინასასამართლო სხდომაზე, როდესაც კლიენტმა განმარტა, რომ თავს ნაწილობრივ ცნობდა დამნაშავედ, ხოლო ადოკატის პოზიციით მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი სრულად ცნობდა თავს დამნაშავედ. კლიენტმა და ადოკატმა პოზიციები ვერ შეათანხმეს. წინასასამართლო სხდომაზე ადოკატს ბრალდების მხარის მტკიცებულებები უნდა გაეხადა სადაოდ, რაც დაცვის მხარეს მისცემდა საშუალებას საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულებები გამოკვლეულიყო. ადოკატმა კლიენტს საქმის მიმდინარეობისას არ აცნობა შემთხვევის მოწმის არსებობის შესახებ. ჩანიშნული სხდომის დრო, სადაც კლიენტს გამოუტანეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, კლიენტის ოჯახის წევრებს არ აცნობა. ადოკატმა კლიენტის თანხმობის გარეშე შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლის შინაარსიც მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იყო შედგენილი.

### პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების შესაძლო დარღვევის გამო.

### სამართლებრივი შეფასება:

ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი მოაზრებს ადოკატის მიმართ კლიენტის მითითებით საქმის წარმოებას, იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას. ადოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად. მოცემულ შემთხვევაში ადოკატი არ მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით მისი კანონიერი და ეთიკური მითითებებით.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c62a2e5b7f96.pdf/022.16%2010.03.17%20gaftrtileba.pdf>



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION  
UNIVERSITY**

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

ადვოკატი საქმისწარმოებისას კლიენტს ინფორმაციას უნდა აწვდიდეს. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას უკავშირდება, ამ შემთხვევაში კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ.

ადვოკატმა ასევე ვერ დაიცვა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რაც გულისხმობს ადვოკატისაგან კლიენტის მიმართ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურებას. კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ასრულებს კლიენტის მითითებებს. ადვოკატს ევალება მისცეს სამართლებრივი რჩევა კლიენტს, გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები.

#### **დასკვნა:**

ეთიკის კომისიამ დარღვეულად მიიჩნია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2, მე-5, მე-6 ნაწილები და ადვოკატის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ფორმად გამოიყენა გაფრთხილება.